

გაზეთი ღირს:

Table with 2 columns: თვე (Month) and მან. კ. (Cents). Rows include months from 12 to 7.

ცალკე ნომერი—ერთი შური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ივერიის

რედაქცია: ქ. თბილისი, ნიკოლოზის ქუჩა № 41. გაზეთის განცხადება: და განცხადებით დასაბუთდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერეთელს.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ბირველი კერძი სამკურნალო

ეჭიმის ნავსარდლიანისა

(კვირაში, ვორცხის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ეჭიმის ყოველ

დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ა. ა. ნავსარდლიანი, 11—12 საათ.

სადონტაქარო, ვენერიული (სიფილი-

სი) და საზარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ. ჩიქვანი, 9—10 საათ. სენ-

ულეზანი: შინაგანი, თვალისა და ნერ-

ვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ა. რუდეკა.

10 1/2—11 1/2 საათ. ქალთა სენით

და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ

ყვავილს აუტრის.

ზ. ა. ბაზასანანი. — დილის 11 1/2—

12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაბეგანი. 1—1 1/2 სა-

ათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. გ. გურჯია. 1 1/2—2 1/2 ს. ში-

ნაგანი, და საზარდეს ავადმყოფობის,

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

სადამოლობით:

გ. მ. მანგლასკი. — 6—7 საათ.

შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ-

ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავსარდლიანი—6 1/2—7 საათ.

ც. ა. რუდეკა—სამკურნალოში

გამოიკვლევს ქიმიურად და მიკ-

როსკოპიურად შარდს, ნახველს-

სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწე-

ლის ფასი ათი შური; არბთათვის უფა-

სად; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისა-

თვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალო დაქო-

რის მედიცინის ნავსარდლიანი.

Первая частная лечебница Д-ра На-

васардиана.

Тифлиси, противъ памяти. Воронцову.

(7)

იღუპება იმის მდიდარი ოჯახის (ტოპია, რომელიც შეადგენს ქართული სეკულარ-

საქართველოს ეკლესიის ექსპანსიონი, რომელთაც ესაა უჭირავთ მიტრო-

მწეველნი და მასწავლებელნი მართლმადიდებელთა ეკლესიისათვის, რომელნიც

თავმჯდომარე კომიტეტისა, საქართველოს ექსპანსიონი,

მთავარ-ეპისკოპოსი ფაშაინა.

თავმჯდომარე ამხანაგი ლეონიდი ეპისკოპოსი გორისა.

მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილი იქმნა ქუთაისის გუბერ-

ნიის სენატის მხარის მეორე განყოფი-

ლებების მომხრეებელი შუამავალი თა-

ვადი მხედვე—იმჟე მხარის შირველ

განყოფილებებისა.

გამწესებულ იქმნა გორის მხარის

სოფელ ორეკის გლეხი გიორგი ჩო-

ჩივილი—ამიერ-კავკასიის რეინის ბის

ფოსტის მე-VIII განყოფილებისა, ბე-

მეკობის დარჯად.

გაზ. „Ноб. Вр.“-ში მოთავსე-

ბულია იმათი სია, რომელნიც გან-

წინად აზრად ჰქონდა ეს ჩარხები

გამოეცალა, მაგრამ რადგან იმ სა-

ლაქის გამგეობამ ნავთილის ძვე-

ლი გზის მახლობლად მდებარე ქა-

ლაქის მიწები დაეგმა და ნაწილებად

დაჰყო იმ აზრით, რომ ღარიბ მცხო-

ვრებელთ შეეძლოთ იჯარით აღება

და სახლების აგება. 11 აგვისტოს

მორწოდება

მართლმადიდებელ მსოფლიო ეკლესიის ქრისტეს მიერ საუკუ-

რელნი შეიღწა.

ქალაქ ტფილისადგან ჩრდილოეთით ოცის კერის მანძილზე, სწორედ იმ

და კლიოზისა, მართალია სადღანია, აღმწერი ღვთის შთაგონებით, სწრა-

ფად გამოეკვება სასულა მამაკაც მძას, გამოსთხოვა ყოვლად უბოლო მარამ

ქალწულის ხელთ ნამუშევარი კვართი ქრისტესი, ეამბორა ვითარცა უდადეს

საქონლისა და ღმრის სასოებით შეიტკობა იგი თავის ქალწულებზე; შეკრდა.

ახალი ამბავი

გაზ. „Ноб. Вр.“-ში მოთავსე-

ბულია იმათი სია, რომელნიც გან-

სტრუქციონი იმჟე მხარის შირველ

ქალაქის გამგეობამ ხორცზე

ნიხრის დასაკლებად გუშინ საცდელად

იყიდა რამდენიმე ცალი საქონელი

ქალაქის გამგეობას ამ უამად მოლაპარაკება აქვს რკინის გზის გამგეობასთან სადგურის მახლობლად არხის გაყვანის შესახებ. ქალაქის გამგეობა სთხოვს რკინის გზის გამგეობას, რომ მან ამ საქმისათვის 18,000 მან. გადასლოს და ნება დართოს რკინის გზით ფოთიდან ტფილისში უსასყიდლოდ ცემენტის მოტანისა.

მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს დაარსოს კავკასიაში განსაკუთრებული ახალშენები საუკეთესო ჯიშის ცხვრის მოსაშენებლად.

შუშიდგან სწერენ ვაზ. „ახ. მიმ“, რომ შუშის მომრიგებელი — შუამავალი ა. მ. ბრუსილოვსკი დათხოვნილი იქმნება თანამდებობიდანაო.

ვაზ. „Сынъ От.“ სწერს, რომ კავკასიასა და დონის ოლქში უმადლესს სასწავლებლების დაარსების საქმე გამორკვეულ იქმნება ამ წლის გასულსაო.

ვაზ. „ტფ. ფურ“ სწერენ სიღნაღიდან: „ზედი არა აქვს სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას. ჯერ ამას წინადაქ მომხდარ გაფლანგვის შესახებაც არ მოსპობილა მითქმა-მოთქმა, რომ ახალმა საქმემ იჩინა თავი. ამ დღემში აქ სჯღ ახლად დაიკარგა წერილი, რომელშიაც 186 მანეთი ილა. საყურადღებო ის არის, რომ ეს წერილი ფულით გაგზავნილი იყო კანტორის უფროსის სახელობაზედ, რომელმაც დაეთარში ხელი მოაწერა, მაგრამ ფული და წერილი-კი არ მიუღია. სად გაქა ფული? ეს ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის. ყოველს ექვს გარეშეა, რომ გარეშე კაცი ამ საქმეს ვერ ჩაიდენდა. დღემდის ოქმი-კი არ შეუდგენიათ. აი, ასეთი საქმეები ხდება 50 დღის რევიზიის შემდეგ. როგორც ეტყობა, ამ რევიზიის ყველაფერი არ გამოურკვევია და მის შემდეგაც შეიძლება არა ჩვეულებრივის საქმეების ჩადენა“.

სოფ. კახა, (ხაქათალის ოლქი). ივლისის გასულს შემდეგი უბედურე-

ბა მოხდა აქ. ადგილობრივმა მცხოვრებელმა ალ. ნუროვაშვილმა ჩხუბი დაუწყო თავის ცოლს, რომ ჩემმა ძმისწულმა დავით ნუროვაშვილმა, რომელმაც ამ 4 თვის წინადაქრო ჯანაშვილის ქალი მოიტაცა, შენის დახმარებით ჩაიდინა ეს საქმე და ესლა მე სირცხვილით ხალხში თავი ვეღარ გამომიყვიაო. ცოლი უმტკიცებდა, რომ ჩემით კი არა, შენის დახმარებითაო. ჩხუბის დროს ცოლ-ქმარმა გასწიეს სახლის ბანისაკენ აბრეშუმის ქვისათვის თუთის ხის ფოთლების გასაშლელად. ცოლმა დაიწყო თუ არა ფოთლების გაშლა, ქმარმა დაავლო ხელი ცულის და უკანდგან დაარტყა თავში. საბრალო ქალმა იქვე განუტევა სული. დამნაშავე პოლიციამ უკვე დააპატიმრა.

სოფ. მეტეხა. 9 აგვისტოს მისმა მალა-ყოვლად უსაძღველო-ესობამ, საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ აკუთხა სოფ. მეტეხის განახლებული ტაძარი. უკვე 20 წელიწადია, რაც ამ ტაძარში წირვა ლოცვა აღარ შესრულებულა. ამ ტაძრის განსახლებლად შესდგა კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეთაც გორის მაზრის წინამძღოლი ი. სულხანიშვილი იყო; ტაძრის განახლების საქმეში ბევრი შრომა მიუძღვის მამა კირიონს. საქართველოს ექსარხოსთან ახლდენ ტფილისის სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი პერმოვენი, ამიერ კავკასიის რკინის გზის ბლანკინი მამა იროდიონ ნანობაშვილი, სიონის კანდელაკი მ. თოთიბაძე, დიღუბის ტაძრის მღვდელი მ. ცინცაძე და სხვანი. წირვა ქართულს ენაზედ იყო, რომლის დროსაც სამი ხორა ჰვალობდა, ერთი რუსულად და ორი ქართულად. კურთხევას აუარებელი ხალხი დაესწრო. სხვათა შორის აქა ბრძანდებოდა უგანათლებულესი კნენია ელენე გრუზინსკია. წირვის შემდეგ ექსარხოსი, სამღვდლოება და თავდა-აზნაურობა მამა არქიმანდრიტმა კირიონმა მიიპატიჟა სადილად. სადილზედვე მიიპატიჟეს ადგილობრივის სკოლის მასწავლებლები. შაბათი ღამე ექსარხოსმა სკოლის შენობაში გაატარა.

სოფ. კეთისხევი, (გორის მაზრა). აგერ ეს მეოთხე წელიწადია თითქმის, რაც საქართველოს დაბასოფლებში მთავრობამ „მირაბები“ დააწესა იმ განზრახვით, რომ სოფლებში დამყარებულიყო რიგიანი ხმარება სარწყავის წყალისა, რადგანაც აუარებელი უბედურება და უწყისობა ხდებოდა მცხოვრებთა შორის წყალით სარგებლობის გამო. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არავითარს ცვლილებას ვერა ვხედავთ, მეტადრე კეთისხევში. ჩვენში ქირახელს ის მორწყავს თავის დროზედ, ვისაც მაჯა უჭრის. მაშ რისთვის არის მირაბი, თუ-კი ძლიერი უღონოს დასაჩაგრავს? რად ვაძლევთ მირაბს წელიწადში სამოც თუმანს, თუ მშვიდობიანობას არ ჩამოაგდებს და წესრიგს არ დაადგენს?! აქაურს სარწყავს რუებს რომ თვალი გარდაელოთ, დაინახავთ, რომ ნახევარი წყალი გზაზედ იღვრება და ხალხი-კი ერთმანეთსა ჰბასრავს სარწყავის წყლის გამო. ურიგო არ იქნება, ყურადღება მიიქციოს ამ საქმეს და აღდგენილი იქნას სოფ. კეთისხევში ამ მხრივ მშვიდობიანობა და წესრიგი.

ჩვენ მივადეთ 73 მან. პირველ კლასიკურს გამწახაში სწავლა-დაძაგრებულ თომას ახნაიშვილსა და დასაცემად, რომელიც წელს მიდის სწავლის განსაკრძობად უნაქვსატიტულო. ეს ფული გადაწვინა ამ წამოადგენის შემოსავლიდან, რომელიც დეკანოზის სტენის მყოფარეთ გუშაბრათაუ 22 ივლისს მას დასსრგებლად.

შაბათს, 8 აგვისტოს, ბოქალმა თავ. თუმანიშვილმა შეიპყრო სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბისხევის მცხოვრები სპირიტონ კოდორაშვილი, რომელმაც რამდენჯერმე პურდობა ჩაიდინა. სხვათა შორის კოდორაშვილმა გაატყვა დიდებულ ფირფიტის დუქანი. კოდორაშვილს, რომელსაც ყველანი „პეპოს“ ეძახდნენ, რამდენიმე პასპორტი ჰქონდა. ბოქალმა თუმანიშვილმა შეიტყო რა, რომ პეპო ავბალის ქუჩაზედ ერთს დუქანში ჰქვიფობსო, ოთხი პოლიციელი წაიყვანა და წვიდა იმის შესაყრობად. როდესაც პეპოს ეს გაიგო, დუქნიდან გამოვარდა და ავბალის ქუჩაზედ გაიქცა, რკინის გზის ლიანდაგს ვასცდა და ერთის ხევისაკენ დაეშვა. პოლიციელმა რევილფერი გაისროლა და თან დაუძახა, თუ არ დად-

გები მოკლავთო. მაშინ კოდორაშვილი შეჩერდა. გამომძიებლის განკარგულებით კოდორაშვილი მეტეხის ციხეში დააპატიმრეს.

ამ ორის წლის წინად „ბალმირის“ სასტუმროში მყურნალ ლებედევს მოპარეს 6,000 მან. და იმვე დღეს სადაც გაჭრენ ლებედევს შვილი და იმვე სასტუმროში მოსამახურებელი გიუნტერი. მთელი ორი წელიწადი ეძებეს დაკარგულები, მაგრამ ვერსად ვერ იპოვნეს. მხოლოდ ესლა პოლიციისტერს აცნობეს, რომ ლებედევი და გიუნტერი ბაიკალის იქითა მხარეში შეიპყრეს და ტფილისში გამოგზავნესო.

გუშინ, 11 აგვისტოს, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციამ ვერის ბაზარზედ გაუქმა 350 უფარგისი სახაზრო და ნესვი. კარგი იქმნება სავაჭრო სამეურნეო პოლიციამ სხვაგანაც მიიქციოს სახაზროს და ნესვის ყურადღება და გასინჯოს ხოლმე. უმეტეს ნაწილად წელს შედუქნებს უფარგისი და გამოუსადეგარი სახაზრო და ნესვი აქვო.

ა ნ ვ ა რ ი შ ი

„მანხანის მომხმარებელ საზოგადოების“ წევრთა წლიურ კრებისა. (დასასრული *)

თავმჯდომარე. გთხოვთ, ბატონებო, დასახელოთ გამგეობის წევრები; მე რამდენადაც ვიცი, ძველი გამგეობა სრულიად თავს ანებებს სამსახურს.

მ. ნასიძე. გამგეობის წევრებს უთუოდ ჯამაგირი უნდა დაენიშნოთ, მაგრამ რადგანაც ჩვენ დეპოს არა აქვს შეძლება სამს კაცს აძლიოს ჯამაგირი (ჯერ ხანად წელიწადში 80 თუმანი შეიძლება ორთა შუა მოგება ვივარაუდოთ) ამიტომ ჩემის აზრით, უკეთესი იქნება ერთი მცოდნე კაცი მოვიწვიოთ და 80 თუმანი სულ იმას მივცეთ, რომელმაც ყველა თავის საქმეს თავი უნდა დაანებოს. იმას დაუნიშნოთ ორი უჯამაგირო წევრი, რომლებიც კვირაში ერთხელ დახვდებიან დეპოს და საქმის წაბრძობას.

ა. ხანაშირაძე. თუ დივიდენდით ვიზოვით გამგეობის წევრებს, უკეთესი იქნება. გაისარჯე, მოიგე, შენც ირგე და მეც მასარგებლო, აი დივიდენდით სამსახურის აზრი.

ბ. ტყაშაძე. უკეთესი იქნება — ერთს *) იხ. „ივერია“, № 171

ჯამაგირი მივცეთ, ხოლო ორს დივიდენდი დაუნიშნოთ.

ი. ნ. გომეზაურა. საქმე აქ ბევრია. ამის გამო ერთ კაცს გაძლოდა არ შეუძლიან. გარდა ამისა, იმას ქალაქში რომ მოუხდება წასვლა, შეიძლება ავადაც გახდეს, ვის უნდა ჩააბაროს მაშინ დეპო?

მდ. ი. მარიაშვილი. თუ დეპოს იმოდენი შეძლება არ ექნება, რომ ორ-სამ კაცს ჯამაგირი მისცეს, — ისევე სჯობია, რომ დაიკეტოს.

მ. ნასიძე. ბ. ნ. ნადირაძემ წელან მშვენიერად ახსნა დეპოს მნიშვნელობა. დეპომ მთელს ქიზიყს დიდ სარგებლობა მოუტანა — ეს ქეშ-მარტივებაა. მაგრამ დეპო თუ მილიონებს მოიგებს, მაშინ ის სავაჭრო სახლი იქნება და თავისს პირდაპირს მოვალეობას ასცდება. კარგი იქნებოდა, რომ სამისათვისვე ჯამაგირი მივცეცა, მაგრამ ამისი შეძლება რომ არა გვაქვს?

მდ. დ. დეკანოზაძე. ერთს დავუნიშნოთ ჯამაგირი.

თავმჯდომარე. ვთხოვთ დ. მ. ნადირაძეს შეგვაცუბინოს თავისი აზრი ამ საგნის შესახებ.

დ. ნადირაძე. კარგი იქნება, თუ გამგეობის წევრებს დივიდენდით ვიზოვით. მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდა, ორს დავუნიშნოთ ჯამაგირი, ხოლო მესამე საპატიო წევრად იყოს დივიდენდით, ვიდრე საქმე გაძლიერდებოდეს.

თავმჯდომარე. სამი აზრი გამოითქვა. 1) გამგეობის წევრები ვიზოვით დივიდენდითაო. 2) ორს დაენიშნოს ჯამაგირი, ხოლო მესამე საპატიო წევრად იქმნას მიწვეული დივიდენდით და 3) სამივეს დაენიშნოს ჯამაგირი.

კენჭის ყრით საზოგადოებამ მიიღო მეორე წინადადება. — მას ჯამაგირი, მესამე დივიდენდით — სამივეს წევრად.

მდ. მარიაშვილი. რამდენს აძლევთ გამგეობის თითოეულს წევრს.

ბ. ტყაშაძე. ჯერ კანდიდატები დავასახელოთ და შემდეგ მაგაზედ ვილაპარაკოთ.

ა. ხანაშირაძე. ჩვენი წესდება გამგეობის წევრობიდან ერთის მეტს არ ანთავისუფლებს.

ველეტონი
ორიოდე სიტყვა მხრდობა. ავა. ზაქობის შესახებ.
კარგა ხანია, რაც ამ მოვლენამ დიდი ყურადღება მიიქცია. ბევრმა წარმოსთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რა იწვევს ავაზაკობას და ქურდობას. უფრო ლაპარაკობდნენ ავაზაკობის შესახებ, რადგან ეს მოვლენა მეტად შემაწუხებელია და შესანიშნავია ადამიანისათვის, თუმცა ჩვენის აზრით, ქურდობას უფრო დიდი ზარალი მოაქვს საზოგადოების ცხოვრებისათვის, ვიდრე ავაზაკობას. ვამბობთ ამას იმიტომ, რომ აწინდელ დროში ავაზაკობა იშვიათი მოვლენაა, ხოლო ქურდობა-კი ყოველდღე ხდება, მუდმივია. ქურდობის ასპარეზი ვრცელია, ხოლო ავაზაკობისა — მცირე.
როგორც ვახსოვს, შარშან ავაზაკობისა და ქურდობის შესახებ კავკასიაში ბ. ნ. კონი ალაპარაკა აქაური ვახუთებიც. ბ. ნ. კონის მოხსენებაში ის დედა-აზრია გატარებული,

ვითომ ავაზაკობა შეადგენს მსოფლიო გაჯგაისის ხალხს თვისებას. ბ. ნ. კონის ამისთანა უცნაურმა აზრმა მრავალი წერილი გამოიწვია როგორც რუსულ, აგრეთვე ქართულ გაზეთებში. ხოლო ამ რამდენისამე ხნის წინად ვაზ. „კავკასია“-მა განახლა ბასის ქურდობის შესახებ: დაბეჭდილი იყო ექიმ მოსტოვიჩის წერილი. ამ წერილის დედა აზრი ის არის, რომ ქურდობასა და ავაზაკობას ჩვენს ცხოვრებაში იწვევს ორი მიზეზი — სარწმუნოების დაკლება და ადამიანის ზნეობრივად დაქვეითება. ამ უკანასკნელ მოვლენათა შორის ბ. ნ. მოსტოვიჩის ყურადღება შეუპყრია სქესობრივ მოთხოვნილებათა უწყისად დაკმაყოფილებას, ე. ი. იმას, რაც კანონითა და საზოგადოების ჩვეულებითა და შეხედულებით აღკრძალულია. რამდენად საფუძვლიანია ბ. ნ. მოსტოვიჩის მიერ მოყვანილი საბუთები, როგორც მიზეზი ავაზაკობისა და ქურდობისა, ამას შემდეგ განვიხილავთ.
ამ წერილში ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას ჩვენის ვახუთების სჯას ქურდობა-ავაზაკობის შესახებ და ვა-

ვარჩევთ, რამდენად სამართლიანად ირკვევენ და უთვალისწინებენ საზოგადოებას ამ საგანს.
მეცნიერების ერთი ძირითადი კანონი გვასწავლის, რომ ბუნებაში უმიზეზოდ არა ხდება რაო: ყოველ მოვლენას თავისი მიზეზი აქვს. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ კანონს ადამიანის ცხოვრებაშიც. ისტორიისა და ავაზაკობის მიხედვით უნდა იქნებოდეს, თუნდა მცირე შემთხვევას უეჭველად თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს; თუმცა მიზეზთა გამორკვევა, ანუ მოვლენათა ახსნა ადვილი საქმე არ არის; ბიერჯელ მიზეზების პოვნა შეუძლებელია, ამო შრომაა... მეცნიერების ეს დედა-აზრი იმიტომ მოვაგონეთ მკითხველს, რომ, როგორც ვუწყოთ, როდესაც ცხოვრების რომელსამე გარემოებას, ან მოვლენას სათავეს ვუბოვით, ე. ი. გამოვარკვევთ იმის მიზეზებს, მაშინ საფუძველი გვეძლევა, რომ ასე თუ ისე მივმართოთ ჩვენი მოქმედება; ეს კი იმას ჰნიშნავს, რომ შეგვიძლიან მოვსპოთ, ან შეძლებისდაგვარად შევამციროთ ის მოვლენა, რომელიც მავნებელია საზოგადოებისათვის; პირ-

იქით, განვადიეროთ ყველა ის, რაც-კი სასარგებლოა ადამიანისათვის. ავაზაკობა და ქურდობა უნდა ჩაითვალოს მავნებელ მოვლენად. მხოლოდ როდესაც ადამიანი საქმარისად გამოიძიებს ამ მოვლენათა მიზეზს, მაშინ შეუძლიან ან სრულიად მოსპოს ქურდობა-ავაზაკობა, ან იმდენად შეამციროს, რომ ქურდობა და ავაზაკობა იშვიათი მოვლენა იყოს ცხოვრებაში, და რადგანაც ადამიანის გაქურდება და მისი მოკვლა ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენს ჩვენს ცხოვრებაში, ამიტომ ამ საგნის გამორკვევა ყოველად საქირო და სასარგებლოა.

ზოგიერთ ვახუთის აზრით, ქურდობისა და ავაზაკობის ერთადერთ მიზეზად უნდა ჩათვალოს ხალხის კვლამაჟრად დაქვეითება, მისი სიღარიბე. უფრო მარტივად ეს აზრი გამოხატება ამგვარად: ქურდი ქურდობს, ავაზაკი ავაზაკობს იმიტომ, რომ იგი ღარიბ-ღატაკია, მშვიერია. ჩვენ ამას არ ვეთანხმებით. ქურდი — ივანე, პეტრე და სხ. განყენებითი ცნება-კი არაა, რეალური, ცოცხალი მოვლენა; ქურდს ბევრჯელ პირა-

დად ვიცნობთ და ისიც კარგად ვიცით, თუ რა გარემოებაში სცხოვრობს იგი. ამგვარ ცნობათა ცოდნას ის მოსდევს, რომ შეგვიძლიან რომელსამე კერძო შემთხვევაში, სხვათა შორის, საკმარისად შევიტყოთ ქურდის, ან ავაზაკის ეკონომიური მდგომარეობა, დავფასოთ იგი და მივცეთ კიდევ შესაფერი ადგილი. ავხსნათ ეს მაგალითებით. ივანე და პეტრე სცხოვრობენ ერთს სოფელში და ორივენი მეტად ღარიბები არიან. პირველი ქურდობს, ხოლო მეორე თავისი ოფლით იკვებება და ინახავს ოჯახს. წარმოვიდგინოთ ასეთი მოვლენა: მეზობლად სდგანან შეძლებული (ბევრჯელ მდიდარიც) და ღარიბი; პირველი ჩაიდნის ქურდობას და ზოგჯერ ავაზაკობასაც, ხოლო მეორე არც ერთისა და არც მეორის მოქმედი არ არის. ეს მაგალითად აღებული შემთხვევანი ცხოვრების ნამდვილი ცნობებია. ახლა ვიკითხოთ, — შეიძლება, რომ ამ მაგალითების გამომრკვეველ მიზეზად მარტო კვლამაჟრად დაქვეითება დაჯასახლოთ? მართლად, რომ მხოლოდ სიღარიბე აიძულებდეს ადამიანს ქურდობისა

უცხოეთი

მსახიბი

გაზეთი „Новости“ სწერს: უკანასკნელმა ომმა ესპანიაში...

ფიერთაბული შტაბები

„Temps“-ის გაზეთი კარეს-პონდრეტი სწერს: „მაკკინლეის უკველ დღე“...

იტალია

მკითხველებს ესსომებთ უთუთო, რომ ამას წინა დღეებში დიდი ამბოხება და აჩუქება მოხდა...

— რომის გაზეთები არა სანუბეში ამბებს იუწყებიან შპის ლეე მე-XIII

გადმოყოფობის შესახებ. მათი სიტყვით, შპის მორჩინის იმედი აღარ არის...

ბოლშარი

„Нар. зам“-ის სიტყვით ბოლშარში შპის აქეთ-მანათიანის უკველ დასება შეკრ-თის და ერთი ძლიერი დასა დაარ-სონ...

სოფიადგან გაზ

„Temps“-ს დეპუტატს ატყობიანებენ: „ამას წინა სოფიაში მაკკინლეი ბოლშარებს კონგრესი წმინდათ. კონგრესმა შეიშ-შაჰა შემორანდუმი, რომელსაც კერ-პის დიდ სახელმწიფოების მთავრებს გაუგზავნა...“

დამაკვირდი

დიდებულ კაცთ, ვით ნაღვერდალი, განსწორეთ, თუ არ გსურთ თქვენ თათონ დაიჭრანეთ.

ფარსადან გორგიჯანიძე

სიცრულსაგან ჩვენ მოვიტოვოთ ძალსა, დიდებას, და გულისაგან—სი-ჭაბუკის უმანგო ტრფობას.

გიორგი ერისთავი

გლახაკი უნდა მდებარე, ტბილისა ენა-პირისა, სიძულს დეგრეთსა ამბარტანობა, მეტადვე გლახა—შპარისა.

დავით გუზაბიშვილი

შურნალ-ვახუშტისებრი

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინა ვაშინგტონში მოხდა კრება ფოსტის წარმომადგენელთა და ჩინეთის სახელმწიფო ჩარისებულ იქმნა მსოფლიო საფოსტო კავშირის წევრად...

უფროსები ძლიერ სასტიკად ექცვიან ამ ფოსტალიონებს, ჩინეთის ფოსტალიონი უნდა იყოს ღონიერი და ამასთანავე გულადი.

და ნადირაძე. მე ვასახელებ ი. მ. გომელაურს და ლ. ლ. მგელაძეს, მაგრამ ორივენი უარს ამბობენ.

ამის შემდეგ კანდიდატად ზოგიერთები ასახელებენ ს. ი. ნასიძეს.

კარგა ხნის ბაასის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კრების ვანგრძობა შემდეგ კვირისათვის, 9 აგვისტოსთვის, გადაიდგიაო და თანაც სთხოვა წევრებს, საკანდიდატო კა(კები გამოსცხებნეთო).

კრება დაიშალა საღამოს 7 საათზედ.

ი. გ—რი

რუსეთი

მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს რამდენიმე დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დაარსოს იმ ადგილებში, სადაც მიწის შემუშავებასა და ბაღოსაგან მისდევნენ.

— უკვე დამთავრდა იმათ თხოვნების მიღება, რომელთაც მსურდათ პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში შესვლა. სამეტოქეო ეგზამენის გარდახდის უფლება მხოლოდ 100 კაცს მიეცა, ინსტიტუტში-კი მიღებულ იქმნება 80 კაცი. სამეტოქეო ეგზამენი დაიწყო 25 აგვისტოს, ხოლო მცოდნეობა 15 სექტემბერს.

— ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ხილველობისაგან ღვინის დასაზღვევად საჭირო იარაღები მცირე გარდასახდით იქმნას ხოლმე შემოტანილი საზღვარგარეთიდგანაო.

— განზრახვა აქვთ მთელის რუსეთის უსინათლოთა სასწავლებლების მასწავლებელთა კრება გაჭმართან ქ. პეტერბურგში. კრებამ უნდა მოილაპარაკოს ამ სასწავლებლების მოსწავლეთა აღზრდის საქმის განკარგების შესახებ.

— ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული ჯილდოები მიეცეთ ხოლმე იმათ, რომელნიც საუკეთესო მანქანით დასწურავენ ყურძენს და კარგს ღვინოს დააყენებენო.

— საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს გამოსცეს ვრცელი სამეცნიერო კრებული იმის გამოსარკვევად, თუ ამ ჟამად რამდენობაა შიდა საერო სწავლა-განათლების საქმე რუსეთში.

— წელსაც მოსკოვის უნივერსიტეტში შესვლის მსურველი იმდენივეა, რაც შარშან იყო. ჯერ მოსწავლეთა მიღება არ დამთავრებულა და უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის ჩარიცხულ იქმნა 1000 კაცი. ამთგან სამკურნალო ფაკულტეტზედ მიღებულ იქმნა 239 კაცი, იურიდიულზედ—363, ფიზიკა მათემატიკისაზედ—320 და საისტორიო-საფილოლოგიოზედ 53 კაცი. ებრაელთაგან მიღებულ იქმნა 28 კაცი.

— განზრახვა აქვთ მომავალ შემოდგომას ყოველ გვარ ახლად გამოგონილ საგნების გამოფენა გაჭმართან ქ. მოსკოვში. გამოფენილ იქმნება ის, რაც ამ უკანასკნელ წლებში იქმნა გამოგონილი. გამოფენა გასტანს ორ კვირას.

რადგანაც ხშირად მოუხდება ხოლმე დამე ავაზაკებთან ბრძოლა და ავაზაკები-კი ძლიერ ბევრია ჩინეთში. ვიდრე ფოსტალიონს სამსახურში მიიღებენ, ჯერ უნდა გამოსცადონ, ღონიერი არის თუ არა. გარდა ამისა ფოსტალიონს არაფრისა არ უნდა ეშინოდეს.

მეთრამეტე საუკუნის შუა წლებში ნორვეგიის ზღვაონებზედ ლაპარაკობდნენ უზარ-მაზარის ვეშაპის შესახებ, რომელიც ერთს მისიონერს ენახა ზღვაში, გრელანდიაში რომ მიდიოდა. 1784 წელს ჩრდილოეთის ზღვაში ჰანა უზარ-მაზარი ვეშაპი ნორვეგიის გემის უფროსმა ტორლანსენმა. 1845 წელს ვილაც ალბერტ კობი ნიუიორკში ხალხს უჩვენებდა ერთს ვითომდა ვეშაპის ჩონჩხს, 34 ადლის სიგრძეს. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს ჩონჩხი გაკეთებული ყოფილა სხვა-და-სხვა ცხოველების ძვლებიდგან. დიდი ხანი არ არის, რაც ტონკინიდგან ამბავი მოვიდა, რომ ალაგონის ყურეში მენავეებმა ჰანეს ორი ვეშაპი 20 ადლის სიგრძე და ზარბაზნები დუშინეს, მაგრამ ვერ მოჰკლეს. ამ წლის თებერვალში ფილიპინის ყურეში საფრანგეთის ზღვაონებმა ჰანეს ვეშაპი, 20 ადლის სიგრძე, ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს.

ფირილი რადეპიის მიმართ

თქვენის გაზეთის საშუალებით უკველათადაც მადლობას გუყვანებო უკველამათ, ვინც ჩემის მეუღლის ნიკოლოზს სამონის მის განდევნალების გამო თანაგანძობა და ნუგეში გამომცხადა. კენინა პუბი (ნინო) ალექსანდრეს ასული აბაშიძისა

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 აგვისტო. ვატირაშვი. ყაზონის სობოროში და მთავარ შტაბის ეკლესიაში გარდახდით იქმნა წირვა განსვენებულის ჩერნიავეის სულის მოსახსენებლად.

ვატირაშვი. დიდს სასახლეში მათს უდიდებულესობის წინაშე წარსდგა ინგლისის ელჩი ჩარლზ სტუარტსკოტი, საელჩოს ყველა წევრებით. მადრიდი. მანილიიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ იქ არ მიუღიათ დეპეშა მიწერილობით ზვის შესახებ. დეპეშაში ნათქვამია, რომ მემამოხენი კვლავ ებრძვიან ესპანიის ჯარს.

პარიში. დაბეჭდილია ლაპარაკი აღმირალისა ლოკრუის პროექტების შესახებ. ჩრდილოეთის ზღვის ესკადრა გადაკეთებულ იქმნა: 4 პატარა ჯავშნიანი გემი, რომელთა სიჩქარე და შეიარაღება ვერ არის საკმაოდ კარგი, გაგზავნილ იქმნება ხმელთაშუა ზღვაში. ხოლო აქაურ ესკადრის ამდენივე გემი გაიგზავნება ჩრდილოეთის ზღვაში. ხმელთა შუა-ზღვის ესკადრა განადლოებენ ახალის კრებისგან. აგრედვე შეხვლილი იქმნება ესკადრები ჩინეთისა, ინდოეთისა და სხვა ზღვებში.

კონსტანტინოპოლი. ოფრეზებთან ხელს მოაწერენ ფინანსთა სამინისტროსა და ოსმალეთის ბანკის ბარის შეთანხმებას შესახებ ოსმალეთის მიერ სამხედრო საზღვაურის გადახდისა; დარჩენილი გარდასახდით 472,000 მილიონი გარდახდით იქმნება 1899 და 1900 წლების 1 ივლისს, წელიწადში 236,000; ხოლო ტყვეების შესახებ ფული 550,000 შემდეგ ოთხ წლებში: პირველს წელიწადს თითოჯერ 125,000 და შემდეგ ყოველ წლივ 150,000. ოსმალეთის სახელმწიფო ბანკი კისრულობს პირველის ნაწილის გარდახდას, ხოლო ფინანსთა სამინისტრო გადასცემს ბანკს დამოქონის ვექსლებს. თუ ეს ფული გარდახდით არ იქმნება თავისი დროზე, ბანკი სხვა ფულის გარდახდას აღარ იკისრებს. პარიში. მოსამართლემ ვაბრმა გადასცა რესპუბლიკის პროკურორს საბუთის ქაღალდები პიკარისა და ლებლუას შესახებ და მხოლოდ მაშინ დაადგენს თავის განაჩენს, როცა ამ საბუთის ქაღალდებს უკან მიიღებს.

განსვალეზანი

Advertisement for 'Персидская сирень' perfume. Includes text: 'Т-во БРОКАРЪ и К°', 'ИЗОБРЕТATEЛИ ПАРФЮМЕРИИ', '„Персидская сирень“', '0-де-ნოიონი', 'Духи. * Мыло.', and an image of a perfume bottle.

Table with 2 columns: 'წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში' and 'ისყიდება შემდეგი წიგნები:'. Lists various books and their prices.

Advertisement for 'КЪ ВОПРОСУ' (To the Question) regarding education among Georgian nobility. Text: 'О поднятіи образованія среди грузинскаго дворянства.', 'გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამეშეულთა საქართველოში და რუსეთში. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. მყიდველთა უნდა მიჰმართონ სხენებულს მაღაზიას. (12-8)'